

ბატონო არჩილ,

მიმაჩნია, რომ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ეკონომიკური ზრდის ნაკლებად სასურველი ტემპის, ინფლაციის და სხვა ეკონომიკური სირთულეების დაძლევის მიზნით, საქართველოს პარლამენტმა უნდა იმსჯელოს კონკურენციის სამართლის ნორმების დახვეწაზე, ამასთან ერთად სამართლის აღსრულების უფლებამოსილი ორგანოს რეფორმირებაზე, ვინაიდან, სწორედ ეს კარტელური გარიგებები და ხელოვნური მონოპოლიები დიდწილად ქმნის ზემოაღნიშნულ არასასურველ მოცემულობას ჩვენს ქვეყანაში, რომელიც თავის მხრივ გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას, საინვესტიციო სივრცის იმიჯს და აღარიბებს მოსახლეობას.

საქართველოს პარლამენტს წარმოგიდგენთ 22 პუნქტიან საკანონმდებლო წინადადებას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ცვლილებებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში, ამასთან ერთად, წარმოგიდგენთ კონკურენციის სამართლის ნორმების ზოგიერთ დარღვევაზე სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღების ინიციატივას, შესაბამისად, წარმოგიდგენთ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილების და დამატების პროექტს.

გატყობინებთ, რომ ჩემს მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას (მუხლი 6, მუხლი 26), საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების 204-ე მუხლს, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მუხლებს, ამერიკელი და ევროპელი კანონმდებლების პოზიტიურ პრაქტიკას და მიმართულია საქართველოში დამკვიდრებული ეკონომიკური აგენტების არამართლზომიერი ქმედებების და მოსახლეობის გაღარიბების საწინააღმდეგოდ.

გთხოვთ, კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში თქვენს სათანადო რეაგირებას.

დანართი: 15 ფურცელი.


პატივისცემით,

12 დეკემბერი 2019 წელი.

შოთა შალვაშვილი.

შ. შალვაშვილი

ეკვტაძე



საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-24853/19
"12" 12 2019წ. ფურც. 16

საკანონმდებლო წინადადების ავტორისეული დასაბუთება.

(წინადადების ზოგადი შინაარსი, არსი, მიზანი)

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ეკონომიკური ზრდის ნაკლებად სასურველი ტემპის, ინფლაციის და სხვა ეკონომიკური სირთულეების დაძლევის მიზნით საქართველოს პარლამენტს და საზოგადოებას წარმოგიდგენთ ქართული ეკონომიკისთვის და მოსახლეობისთვის არსებითი საფრთხის მატარებელ ქმედებებზე, როგორცაა წარმოადგენს კარტელური გარიგებები და ხელოვნური მონოპოლიები და მათ წინააღმდეგ გადასადგმელი ეფექტური ნაბიჯების და პრევენციის შესახებ მრავალპუნქტიან საკანონმდებლო წინადადებას.

ქართულ რეალობაში კონკურენციის სამართალს არ აქვს მდიდარი ისტორიული საფუძვლები, იგი ათვლას იწყებს მხოლოდ 1996 წლიდან. 1992 წელს ევროპის გაერთიანებამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და 1996 წელს ევროპის გაერთიანებასთან დაიდო თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ შეთანხმება, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წელს. სწორედ ამ შეთანხმების 43-ე მუხლის თანახმად საქართველომ იკისრა ვალდებულება ეროვნული კანონმდებლობა, მათ შორის კონკურენციის სამართლის ნორმები დაეახლოვებინა ევროპის გაერთიანების ნორმებთან. ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით 1996 წელს მიღებულ იქნა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი. ასევე ამ კანონის აღსრულების მიზნით შეიქმნა უფლებამოსილი ორგანო: ანტიმონოპოლიური სამსახური.

მართალია ჩვენ ვერ ვიტრაბახებთ, რომ ღრმა ისტორიული საფუძვლები აქვს საქართველოში კონკურენციის სამართალს, თუმცა აშკარად გვაქვს წინ გადადგმული ნაბიჯები, გვაქვს ევროკავშირთან დიდწილად სინქრონიზებული კანონმდებლობა, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ კანონის და მისი აღსრულების ორგანოს საქმიანობა ნაკლებად სასურველ რეზულტატს გვიჩვენებს და ყოველდღიურად ხდება ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობის შემცირება ერთეული ეკონომიკური აგენტების გამდიდრების ხარჯზე.

მიუხედავად ქართული გამოცდილების სიმწირისა, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, პოლიტიკური ნების შემთხვევაში ვისარგებლოთ წარმატებული მსოფლიო პრაქტიკის გაზიარებით და ამ ქმედებით მარყივად მივაღწიოთ ქართული კანონმდებლობის სრულფასოვნად დახვეწას და

მისი ნორმების სინქრონიზაციას ევროკავშირის ნორმებთან. ჩემს მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება ემსახურება, მოქმედი კანონმდებლობის და სახელმწიფო პოლიტიკის დახვეწას, მათ შორის 2014 წელს საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების იმ ნორმების პრაქტიკულად აღსრულებას, რომელიც თავის მხრივ ჩვენს სახელმწიფოს ავალდებულებს გვექონდეს ევროკავშირის ნორმებთან დაახლოებული სამართლის ნორმები და ქვეყანაში ფუნქციონირებდეს სამართლის, კერძოდ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისთვის ინსტიტუციურად გამართული უფლებამოსილი ორგანო.

ზემოაღნიშნული ასოცირების შეთანხმების 204-ე მუხლი საქართველოს ავალდებულებს იქონიოს ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონმდებლობა, რომელიც ეფექტურად დაარეგულირებს კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებს, შეთანხმებულ ქმედებებს და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ქმედებებს, რომელიც განახორციელებს ეკონომიკური აგენტების შერწყმების ეფექტურ კონტროლს. საქართველო ასევე ვალდებულია შექმნას კონკურენციის ეფექტიანი აღსრულების უზრუნველყოფი პასუხისმგებელი და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო.

როგორც წესი კარტელური საქმიანობა ადვილად განსახორციელებელია ისეთ ბაზრებზე, რომელსაც შედარებით მცირე რაოდენობის მსხვილი მწარმოებელია წარმოდგენილი ინდივიდუალურად ძლიერი პოზიციით, მაღალია ბაზაზრზე შესვლის ბარიერი, პროდუქცია ჰომოგენურია, წარმოების ხარჯი მსგავსია და მათ შორის ბუნებრივი ურთიერთდამოკიდებულება ბაზაზრზე დიდია. ამ მოცემულობაში რესურსების არაეფექტურად გამოყენების შედეგად ის მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მომხმარებელს, რაც გამოიხატება წარმოების შემცირებასა და ფასის ზრდაში. უდავოა, რომ კარტელური შეთანხმების არსებობისას მომხმარებლის კეთილდღეობა არსებითად მცირდება, რადგან ყოველგვარი სარგებელი მომხმარებლიდან სრულად გადადის გამყიდველზე.

თავად ის ფაქტი, რომ ბიზნესი ცდილობს გახდეს მონოპოლისტი, ცუდი ნამდვილად არ არის, მაგრამ მან ამ დომინანტურ პოზიციას უნდა მიაღწიოს კანონიერი, სამართლიანი გზით და არა სახელმწიფოს მხრიდან ლობირების, არაეფექტური, სუსტი რეგულირების ან/და კორუფციული გარიგებების შედეგად.

მსოფლიოში კარტელური გარიგებების წინააღმდეგ საბრძოლველად არაერთგვაროვანი პრაქტიკაა. ძირითადად გამოყენებულია ადმინისტრაციული სახის ფინანსური ჯარიმები, თუმცა კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევისთვის ჯარიმის პარალელურად მოქმედებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც. მიმაჩნია, რომ 2012 წლის 8 მაისს, მაშინდელმა ხელისუფლებამ მიიღო ნაჩქარევი და სიღრმისეულ ანალიზს მოკლებული გადაწყვეტილება, როცა მიიღო „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ახალი კანონი და სისხლის სამართლის კოდექსიდან მოხდა 195-ე მუხლის ამოღება, რომელიც ითვალისწინებდა კრიმინალიზაციას.

ვფიქრობ, ჩვენი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სანქცია, მათ შორის ჯარიმა ისე უნდა იყოს დაანგარიშებული, რომ სამართალდამრღვევს მოუწიოს იმ ხარჯის სრულად გაღება, რომელიც თანასწორი იქნება იმ ხარჯის, რომელიც მისივე სამართალდარღვევით დაეკისრა ჩვენს მოსახლეობას. ეს არ არის შერისპიება ეკონომიკურ აგენტზე, ეს არის ეფექტურობის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რომ ჯარიმას ჰქონდეს პრევენციული ხასიათი, არავის არ მოუხდეს კანონის დარღვევა და თუკი მაინც რომელიმე ეკონომიკური აგენტი ვერ გაუძლებს მეტი შემოსავლის არალეგალური გზით მიღების ცდუნებას, ის უნდა დაჯარიმდეს, მინიმუმ იმ ხარჯის ოდენობით, რომელიც მან მიაყენა ქვეყანას და მოსახლეობას.

მიმაჩნია, რომ თითოეულ სანქციას უნდა ჰქონდეს ეფექტური შემაკავებელი ეფექტი. ვფიქრობ, სანქციას ექნება ეს სახე, თუკი დაკისრებული ჯარიმა აღემატება იმ მოგებას, რაც შეიძლება მიიღოს სამართალდამრღვევმა მისივე უკანონო ქმედებით, მაგრამ სრულიად დაუშვებლად მიმაჩნია სანქციის სახით დადგენილი ჯარიმის ოდენობა იყოს მის მიერ განხორციელებული ქმედებით სახეზე დამდგარ ზიანზე ნაკლები.

ვფიქრობ, თითოეულმა კანონდამებელმა სწორად უნდა შეაფასოს შექმნილი სურათი და ისიც, რომ კონკურენციის სამართალი არ უნდა აიყოს აღქმული, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ნორმატიულ-მარეგულირებელ ნორმათა ერთობლიობად და იგი უნდა იყოს მორგებული ქართულ რეალობას, ბაზარზე არსებულ და დამკვიდრებულ მავნე ტრადიციას, მენტალიტეტს და ისი ხელმყოფი პირის მიმართ უნდა დგებოდეს ადეკვატური და სამართლიანი პასუხისმგებლობა.

მაშინ, როცა ტიპური მძარცველის ან ქურდის ქმედება ჩვენი კანონმდებლობით კვალიფიცირდება დანაშაულად და დამნაშავე პირი მცირე ოდენობის მქონე საგნის უკანონო გზით დაუფლებისთვის აღმოჩნდება გოსოსებს მიღმა, ცემთვის გაუგებარია, რატომ არ უნდა დაისაჯოს ის პირებიც, რომლებიც კანონოსაწინააღმდეგო გარიგებების გზით იპარავენ გაცილებით მეტს, მილიონებს და მილიარდებსაც კი, მძიმე დარტყმის ქვეშ აყენებენ ქვეყნის ეკონომიკას, მის საერთაშორისო ეკონომიკურ იმიჯს და აღარიბებენ მოსახლეობას.

ჩემი საკანონმდებლო ინიციატივით, მე საკანონმდებლო ორგანოს გთავაზობთ სანქციების დიფერენცირებას ჩადენილი კანონდარღვევის მასშტაბებისა და სიმძიმის მხიედვით, ვფიქრობ, უნდა დარჩეს ჯარიმები და დამატებით უნდა დავამკვიდროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ეს პრაქტიკა აქვს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორს ამერიკის შეერთებულ შტატებს, როცა კონკურენციის მხოლოდ მძიმე შეზღუდვები იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ძირითადად ამერიკელი კოლეგები ყურადღებას ამახვილებენ ფასის ფიქსაციაზე, ბაზრის გაყოფაზე, ტენდერში მანიპულაციურ მონაწილეობასა და წარმოების შეზღუდვებზე, ამ ტიპის კანონდარღვევებს ამერიკელები არ ტოვებენ მკაცრი სანქციის - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე.

თავად ევროკავშირი კონკურენციის სამართლის დარღვევისთვის არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუმცა ევროკავშირის რეგულაციები არ კრძალავს

ამას წევრი სახელმწიფოებისთვის და ამბობს, რომ სახელმწიფოებს აქვს უფლებამოსილება დაადგინონ უფრო მკაცრი სასჯელები.

ევროკავშირი კონკურენციის სამართლის დარღვევისთვის არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. თუმცა ევროკავშირის რეგულაციები (რეგულაცია #1/2003) არ კრძალავს ამას წევრი სახელმწიფოებისთვის და ამბობს, რომ წევრ სახელმწიფოებს აქვთ უფლებამოსილება ინდივიდუალურად დაადგინონ უფრო მკაცრი სასჯელები, სწორედ ასე მოქმედებს გერმანია, ავსტრია, ბელგია, ირლანდია, დანია, ესტონეთი, ლატვია, რუმინეთი და სხვა, სადაც კარტელური საქმიანობისთვის დადგენილია პატიმრობა სხვადასხვა ვადით.

ჩემს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო წინადადება ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას (მუხლი 6, მუხლი 26), საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების 204-ე მუხლს, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) მუხლებს, ამერიკელი და ევროპელი კანონმდებლების პოზიტიურ პრაქტიკას და მიმართულია საქართველოში დამკვიდრებული ეკონომიკური აგენტების არამართლზომიერი ქმედებების საწინააღმდეგოდ.

მიმაჩნია, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 1 მუხლის მე-3 პუნქტი საჭიროებს კორექტირებას, კერძოდ, ამ მუხლით დგინდება კანონის რეგულირების სფერო და კანონის გავრცელების ფარგლები, სადაც შეტანილი არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირები, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირები (შპს), სახელმწიფო ფონდები და მუნიციპალური არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირები (ააიპ) და მათი ხელმძღვანელი თანამდებობის პირები.

წინადადება 1

კანონმდებლებს გთავაზობთ წინადადებას, რომ კანონის 1 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ეკონომიკური აგენტის, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან/და მისი თანამდებობის პირის, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის-ს, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირის, მათ შორის სახელმწიფო ფონდების ან/და მისი თანამდებობის პირის ქმედებასა და გადაწყვეტილებაზე, რომლებიც, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, იწვევს ან/და შეუძლია გამოიწვიოს ქვეყნის სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა და აღკვეთა“

წინადადება 2

საგულისხმოა, რომ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (TFEU) 101-ე მუხლის პირველი პუნქტის აკრძალვა ვრცელდება არამარტო სამართლებრივი ხელშეკრულებების მიმართ, როგორც ეს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტშია გათვალისწინებული, არამედ იგი ეკონომიკური აგენტების ნებისმიერი სახის თანამშრომლობას მოიცავს, მათ შორის ხელშეკრულების გარეშე შეთანხმებებს. მიმაჩნია, რომ ნორმას ექნება მეტი ეფექტურობა, თუკი ჩვენ გამოვიყენებთ ქართულ სამართალში დამკვიდრებულ და კლასიკურად განმარტებულ ტერმინს „გარიგებას“ და მას განვმარტავთ კანონის ტერმინთა განმარტების მუხლში შემდეგნაირად.

მე-3 მუხლს დაემატოს ე) პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ ე) გარიგება გულისხმობს ცალმხრივ, ორმხრივ ან მრავალმხრივ ნების გამოვლენას, რომელიც მიმართულია გარკვეული ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ ”

წინადადება 3.

თუკი ჩვენ ვთანხმდებით, რომ ხელშეკრულების გარდა კანონის მოქმედება უნდა ვრცელდებოდეს გარიგებებზე, მოგვიწევს ცვლილებების შეტანა შემდეგი რიგითობით:

მე-6 მუხლის დ) პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ. ხელშეკრულების ან/და გარიგების წინაპირობად გარიგების იმგვარი პირობის დაწესება, რომელიც გარიგების მეორე მხარეს ისეთ დამატებით ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა”.

მე-7 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულება ან/და გარიგება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება”.

მე-7 მუხლის 1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის დაიდოს ისეთი ხელშეკრულება ან/და გარიგება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება (შემდგომ - შეთანხმება), რომლის მიზანია ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა, კერძოდ:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

- ბ) წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა;
- გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;
- დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორების მიმართ იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული/დისკრიმინაციული პირობების გამოყენება, რითაც ხდება მათი კონკურენციულად წამგებიან მდგომარეობაში ჩაყენება;
- ე) გარიგების პირობად გარიგების მხარისთვის ისეთი დამატებითი ვალდებულებების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან;
- ვ) მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური აგენტებისთვის ან სხვისთვის სატენდერო წინადადების შეთანხმებული პირობების დაწესება, რაც არსებითად ლახავს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებს.”

მე-8 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი ხელშეკრულება ან/და გარიგება”

მე-8 მუხლის 1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე ან/და გარიგებაზე, თუ:

- ა) შესაბამის ბაზარზე ჰორიზონტალური ხელშეკრულების მხარეთა ერთობლივი წილი 10 პროცენტს არ აღემატება;
- ბ) შესაბამის ბაზარზე ვერტიკალური ხელშეკრულების თითოეული მხარის საბაზრო წილი 15 პროცენტს არ აღემატება;
- გ) ეს ხელშეკრულება ან/და გარიგება მოიცავს როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ხელშეკრულების მახასიათებლებს, რის გამოც რთულია მისი ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ ხელშეკრულებად კლასიფიკაცია, და შესაბამის ბაზარზე ამ ხელშეკრულების ან/და გარიგების თითოეული მხარის საბაზრო წილი 10 პროცენტს არ აღემატება”.

მე-9 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების ან/და გარიგების აკრძალვიდან გამონაკლისი”

მე-9 მუხლის 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის დებულებები შესაძლებელია არ იქნეს გამოყენებული იმ

ხელშეკრულებების, გარიგებების, გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული ქმედებების მიმართ, რომლებიც ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, ამასთანავე, უზრუნველყოფს მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას, თუ ისინი:

ა) ხელშეკრულების, გარიგების, შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ უწესებენ შეზღუდვებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევასთან;

ბ) ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ აძლევენ, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე.

წინადადება 4.

მოქმედი კანონმდებლობით, კონკურენციის სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე, ამ სამსახურის დებულებასა და სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა და თავის მხრივ სამსახური ყოველი წლის 1 მაისს ამზადებს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს გაწეული სამუშაოების შესახებ წლიურ ანგარიშს.

მიმაჩნია, რომ კონკურენციის სამართლის ნორმების დაცვა, კარტელური გარიგებები და ამ ტიპის ანტისახელწმიფობებრივი ქმედებები, რომელიც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას და აღარბებს მოსახლეობას, უნდა გახდეს უფრო მაღალი პოლიტიკური და სამართლებრივი სფეროს ინტერესის და კვლევის საგანი, ვიდრე ცალკე აღებული რომელიმე პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ქართული რეალობის გათვალისწინებით ქვეყანა იცვლის არაუმეტეს 2 წელიწადში ერთხელ. ვფიქრობ, საპარლამენტო რესპუბლიკაში ამ უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციის ეფექტურ საქმიანობაზე პასუხისმგებლობა უნდა იკისროს ქვეყნის უმაღლესმა წარმომადგენლობითმა და კანონშემოქმედებითმა ორგანომ, რომელსაც წარმოადგენს საქართველოს პარლამენტი. მიმაჩნია, რომ სამსახურის დებულება უნდა დაამტკიცოს დეპუტაციამ და თავის მხრივ სააგენტოს ყოველწლიური ანგარიში მოხსენების სახით უნდა იქნას წარმოდგენილი პარლამენტში.

ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, მე მსურს პარლამენტს წარმოგიდგინოთ კონკრეტული ცვლილებების პროექტი შემდეგი რიგითობით:

მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე”.

მე-16 მუხლის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სააგენტოს დებულებასა და სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი”.

მე-16 მუხლის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. სააგენტო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა აშზადებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს წლიურ ანგარიშს გაწეული მუშაობისა და საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციული გარემოს მდგომარეობის შესახებ”

წინადადება 5.

მაშინ, როცა ქართული მძიმე რეალობა და ევროკავშირი ჩვენგან ითხოვს კონკურენციის კანონის ეფექტური აღსრულების ფორმირებას, მიმაჩნია, რომ ეფექტურობა პირდაპირ დამოკიდებულია, როგორც მმართველი ძალის პოლიტიკურ ნებაზე და კანონმდებლობის სამართლიან ნორმებზე, ისე სამსახურის (სააგენტოს) საქმიანობაში ჩაურევლობასა და მაღალ ლეგიტიმაციაზე. შემოვდივარ ინიციატივით, რომ კონკურენციის შესახებ კანონს დაემატოს შემდეგი პუნქტი:

მე-17 მუხლს დაემატოს მე-3 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3. სააგენტო თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. დაუშვებელია მის საქმიანობაში ჩარევა. აკრძალულია სააგენტოზე ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რამაც შეიძლება ხელყოს მისი დამოუკიდებლობა”

წინადადება 6.

მიმაჩნია, რომ სააგენტო და მისი ხელმძღვანელი უნდა სარგებლობდეს მაღალი ლეგიტიმაციით და დამოუკიდებლობით, მას უნდა ჰქონდეს მაქსიმალურად მაღალი გარანტიები, რომ მის მიერ კანონის საფუძველზე მირებული სამართლებრივი გადაწყვეტილებები ვერ გახდება მისი სამსახურეობრივი კარიერის შეწყვეტის და მისი დასჯის საფუძველი, სწორედ ამიტომ, მიმაჩნია, რომ ერთპიროვნულად პრემიერ-მინისტრების წინაშე მათი ვალდებულება უმჯობესია ჩანაცვლდეს პარლამენტის წინაშე ვალდებულებებით და მისი თანამდებობაზე განმწესებიც უფლებამოსილებაც უნდა გახდეს პარლამენტის პოლიტიკური და სამართლებრივი მსჯელობის საგანი. შემოვდივარ ინიციატივით, რომ ქართულ სამართალში დამკვიდრებული მოდელის მიხედვით, ახალი ველოსიპედის გამოგონების გარეშე ვისარგებლოთ ქვეყნის გენერალური აუდიტორის თანამდებობაზე განმწესების ნორმებით და კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობაზე განმწესება გავხადოთ პლურალისტური პოლიტიკური სივრცის მქონე პარლამენტის უფლებამოსილება და ნაცვლად დანიშვნისა, თავმჯდომარე არჩეულ იქნას 5 წლის ვადით. ასევე შემოვდივარ ინიციატივით,

რომ ამ მიზნებისთვის კანონში დავადგინოთ კრიტერიუმები თანამდებობის დასაკავებლად, აკრძალვები ამ თანამდებობის პირის მიმართ.

ინიციატივის გაზიარების შემთხვევაში წარმოგიდგენთ ცვლილებების პროექტს შემდეგი თანმიმდევრობით:

მე-17¹ მუხლის 1. მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 1. სააგენტოს თავმჯდომარეს საქართველოს პარლამენტის წარდგინებით, 5 წლის ვადით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. “

მე-17¹ მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 5. სააგენტოს თავმჯდომარედ აირჩევა პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) არის საქართველოს მოქალაქე;

ბ) აქვს ეკონომიკის, სამართლის ან ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;

გ) აქვს სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილება;

დ) აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის სხვა მოთხოვნებს”

მე-17¹ მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 6. სააგენტოს თავმჯდომარეს არ შეიძლება ეკავოს სხვა თანამდებობა ან ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო ან/და შემოქმედებითი საქმიანობისა, ასევე თანამდებობაზე ყოფნის მთელი პერიოდის მანძილზე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან ეწეოდეს სხვა პოლიტიკურ საქმიანობას”

მე-17¹ მუხლს დაემატოს მე-7 მუხლი:

„7. სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით”.

მე-17¹ მუხლს დაემატოს მე-8 მუხლი:

„ 8. სააგენტოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) პარლამენტის გადაწყვეტილება;

გ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;

დ) სააგენტოს თავმჯდომარის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა;

ე) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;

ვ) გარდაცვალება.

წინადადება 7.

კარტელური გარიგებები და სხვა ფარული შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ჩვენს მიერ განსახილველი კანონის რეგულირების სფეროს, თავისი შინაარსით წარმოადგენს მეტად რთულად გამოსავლენ საქმიანობას, სწორედ აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ამ ქმედებების წინააღმდეგ და მისი აღკვეთისთვის სააგენტოს არ უნდა ჰქონდეს შეზღუდული დრო. დღევანდელი რედაქციით კანონი საქმის მოკვლევისთვის სააგენტოს ანიჭებს არაუმეტეს 10 თვეს და შემდოვივარ იიციატივით, რომ ეს ვადა იქნას გაგრძელებული არაუმეტეს 24 თვისა.

25-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქმის მოკვლევა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს სააგენტოს მიერ განსაზღვრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 24 თვისა”

წინადადება 8.

იქედან გამომდინარე, რომ მეტი ეფექტისთვის და პრევენციისთვის მე პარლამენტის წინაშე შემოვდივარ გარკვეულ ქმედებებზე სანქციის სახით სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღების ინიციატივით, გთავაზობთ ინიციატივას, რომ დღეს მოქმედი რედაქცია დავაკორექტიროთ და ნაკლებად მძიმე შედეგის მომტან ქმედებებზე დავტოვოთ ჯარიმა, ხოლო უფრო მძიმე შედეგის და ზიანის მომტან ქმედებებზე სისხლის სამართლის კოდექსით იხელმძღვანელოს ქართულმა ინსტიტუციებმა.

ამ მიზნით წარმოგიდგენთ ცვლილებას:

33-ე მუხლის 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ეკონომიკურ აგენტს (გარდა ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს ეკონომიკური აგენტებისა) დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 პროცენტს ”

წინადადება 9.

მისასალმებელია, რომ ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებულია ე.წ. თანამშრომლობის პროგრამა, რომელიც თავისი არსით გულისხმობს პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობას რამდენიმე პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუმცა მიმაჩნია, რომ თუკი ჩვენ სიმძიმის მიხედვით მოვახდენთ გარკვეული ქმედებების კრიმინალიზებას, ე.წ. თანამშრომლობის პროგრამა უნდა შეეხოს მხოლოდ და მხოლოდ ნაკლები სიმძიმის მქონე ქმედებებს, რომელსაც ჩემს მიერ შემოთავაზებული პროექტით გაითვალისწინებს კანონის მე-6 მუხლი, ხოლო სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების და განრიდების საფუძვლები უნდა განხორციელდეს საერთო წესით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.

ვინაიდან ევროკავშირი ცნობს და აღიარებს თანამშრომლობის პროგრამას, შეგვიძლია სათანადო ცვლილებები შევიტანოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (მუხლი 168¹), და ე.წ. განრიდების შესაძლებლობა საერთო წესით დავადგინოთ დამნაშავეისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობ,

33¹ - ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 1. პირი სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდება ამ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისგან (გარდა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისა), თუ იგი ერთდროულად დააკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) აღიარებს ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ გარიგება/შეთანხმებაში მონაწილეობას;

ბ) სააგენტოს ზეპირად ან/და წერილობით მიაწვდის მისთვის ცნობილ ინფორმაციას და, თუ შესაძლებელია - მტკიცებულებებსაც, ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარიგება/შეთანხმების შესახებ, მანამ, სანამ ეს ინფორმაცია სააგენტოსთვის სხვა წყაროდან გახდება ცნობილი;

გ) საქმის მოკვლევის პროცესში უწყვეტად და შეუზღუდავად ითანამშრომლებს სააგენტოსთან.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება გარიგების/შეთანხმების ერთადერთ ორგანიზატორზე ან/და ინიციატორზე, აგრეთვე იმ პირზე, რომელმაც სხვა პირებს გარიგებაში/შეთანხმებაში მონაწილეობა აიძულა.

3. თანამშრომლობის პროგრამის გავრცელებისა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების გამოყენების წესი დგინდება სააგენტოს სამართლებრივი აქტით "

წინადადება 10.

თუკი ჩემს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო წინადადება მიზანშეწონილად იქნება მიჩნეული და გაიზიარებთ ჩემს ხედვებს სიმბიძის მიხედვით ქმედების კრიმინალიზების მიმართ, ვფიქრობ ამის შესახებ სათანადო დამატება უნდა გაკეთდეს, როგორც სისხლის სამართლის კოდექსში, ისე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში და წარმოგიდგინო ჩემს ვერსიას:

კანონს დაემატოს 33³ -ე მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 33³. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, რამაც გამოიწვია მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასის დაწესება, აგრეთვე კონკურენციის შეზღუდვა ბაზრის გაყოფით, ბაზარზე გავლენის შენარჩუნებით, ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტის ბაზრიდან გაძევება ან/და ერთიანი საბაზრო ფასის დადგენა (ფიქსირება) ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით”.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში” შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

იქედან გამომდინარე, რომ მე გახლავართ „კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საკანონმდებლო წინადადების ავტორი და საქართველოს პარლამენტს ვთავაზობ გარკვეული სიმძიმის მიხედვით კარტელური გარიგებების და მონოპოლიების წინააღმდეგ ეკონომიკური აგენტების ქმედების კრიმინალიზაციას, საქართველოს პარლამენტს ზემოაღნიშნული მიზნების აღსრულებისთვის წარმოგიდგენთ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში” შესატანი ცვლილების შესახებ წინადადებას.

მსურს გაგიზიაროთ მოსაზრება, რომ მსოფლიოში კარტელური გარიგებების წინააღმდეგ საბრძოლველად დამკვიდრებულია არაერთგვაროვანი პრაქტიკა. ძირითადად გამოყენებულია ადმინისტრაციული სახის ფინანსური ჯარიმები, თუმცა კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევისთვის ჯარიმის პარალელურად მოქმედებს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობაც. მიმაჩნია, რომ 2012 წლის 8 მაისს, მაშინდელმა ხელისუფლებამ მიიღო ნაჩქარევი და სიღრმისეულ ანალიზს მოკლებული გადაწყვეტილება, როცა მიიღო „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” ახალი კანონი და სისხლის სამართლის კოდექსიდან მოხდა 195-ე მუხლის ამოღება, რომელიც ითვალისწინებდა კრიმინალიზაციას.

ვფიქრობ, ჩვენი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სანქცია, მათ შორის ჯარიმა ისე უნდა იყოს დაანგარიშებული, რომ სამართალდამრღვევს მოუწიოს იმ ხარჯის სრულად გაღება, რომელიც თანასწორი იქნება იმ ხარჯის, რომელიც მისივე სამართალდარღვევით დაეკისრა ჩვენს მოსახლეობას. ეს არ არის შერისძიება ეკონომიკურ აგენტზე, ეს არის ეფექტურობის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რომ ჯარიმას ჰქონდეს პრევენციული ხასიათი, არავის არ მოუწოდებს კანონის დარღვევა და თუკი მაინც რომელიმე ეკონომიკური აგენტი ვერ გაუძლებს მეტი შემოსავლის არალეგალური გზით მიღების ცდუნებას, ის უნდა დაჯარიმდეს, მინიმუმ იმ ხარჯის ოდენობით, რომელიც მან მიაყენა ქვეყანას და მოსახლეობას.

მიმაჩნია, რომ თითოეულ სანქციას უნდა ჰქონდეს ეფექტური შემაკავებელი ეფექტი. ვფიქრობ, სანქციას ექნება ეს სახე, თუკი დაკისრებული ჯარიმა აღემატება იმ მოგებას, რაც შეიძლება მიიღოს სამართალდამრღვევმა მისივე უკანონო ქმედებით, მაგრამ სრულიად დაუშვებლად მიმაჩნია სანქციის სახით დადგენილი ჯარიმის ოდენობა იყოს მის მიერ განხორციელებული ქმედებით სახეზე დამდგარ ზიანზე ნაკლები.

ვფიქრობ, თითოეულმა კანონდამებელმა სწორად უნდა შეაფასოთ შექმნილი სურათი და ისიც, რომ კონკურენციის სამართალი არ უნდა იყოს აღქმული, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ნორმატიულ-მარეგულირებელ ნორმათა ერთობლიობა და იგი უნდა იყოს მორგებული ქართულ რეალობას, ბაზარზე არსებულ და დამკვიდრებულ მავნე ტრადიციას, მენტალიტეტს

და ისი ხელმყოფი პირის მიმართ უნდა დგებოდეს ადეკვატური და სამართლიანი პასუხისმგებლობა.

მაშინ, როცა ტიპური მძარცველის ან ქურდის ქმედება ჩვენი კანონმდებლობით კვალიფიცირდება დანაშაულად და დამნაშავე პირი მცირე ოდენობის მქონე საგნის უკანონო გზით დაუფლებისთვის აღმოჩნდება გასოსებს მიღმა, ცემთვის გაუგებარია, რატომ არ უნდა დაისაჯოს ის პირებიც, რომლებიც კანონსაწინააღმდეგო გარიგებების გზით იპარავენ გაცილებით მეტს, მილიონებს და მილიარდებსაც კი, მძიმე დარტყმის ქვეშ აყენებენ ქვეყნის ეკონომიკას, მის საერთაშორისო ეკონომიკურ იმიჯს და აღარიბებენ მოსახლეობას.

ჩემი საკანონმდებლო ინიციატივით, მე საკანონმდებლო ორგანოს გადავაზობთ სანქციების დიფერენცირებას ჩადენილი კანონდარღვევის მასშტაბებისა და სიმძიმის მხედვით, ვფიქრობ, უნდა დარჩეს ჯარიმები და დამატებით უნდა დავამკვიდროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ეს პრაქტიკა აქვს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორს ამერიკის შეერთებულ შტატებს, როცა კონკურენციის მხოლოდ მძიმე შეზღუდვები იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ძირითადად ამერიკელი კოლეგები ყურადღებას ამახვილებენ ფასის ფიქსაიაზე, ბაზრის გაყოფაზე, ტენდერში მანიპულაციურ მონაწილეობასა და წარმოების შეზღუდვებზე, ამ ტიპის კანონდარღვევებს ამერიკელები არ ტოვებენ მკაცრი სანქციის - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე.

თავად ევროკავშირი კონკურენციის სამართლის დარღვევისთვის არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუმცა ევროკავშირის რეგულაციები არ კრძალავს ამას წევრი სახელმწიფოებისთვის და ამბობს, რომ სახელმწიფოებს აქვს უფლებამოსილება დაადგინონ უფრო მკაცრი სასჯელები.

ევროკავშირი კონკურენციის სამართლის დარღვევისთვის არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. თუმცა ევროკავშირის რეგულაციები (რეგულაცია #1/2003) არ კრძალავს ამას წევრი სახელმწიფოებისთვის და ამბობს, რომ წევრ სახელმწიფოებს აქვთ უფლებამოსილება ინდივიდუალურად დაადგინონ უფრო მკაცრი სასჯელები, სწორედ ასე მოქმედებს გერმანია, ავსტრია, ბელგია, ირლანდია, დანია, ესტონეთი, ლატვია, რუმინეთი და სხვა, სადაც კარტელური საქმიანობისთვის დადგენილია პატიმრობა სხვადასხვა ვადით.

ჩემს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო წინადადება ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას (მუხლი 6, მუხლი 26), საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების 204-ე მუხლს, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) მუხლებს, ამერიკელი და ევროპელი კანონმდებლების პოზიტიურ პრაქტიკას და მიმართულია საქართველოში დამკვიდრებული ეკონომიკური აგენტების არამართლობიერი ქმედებების საწინააღმდეგოდ.

წარმოგდგენთ მუხლის რედაქციას:

პროექტი

საქართველოს კანონი

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 195-ე მუხლი:

„ მუხლი 195. საქართველოს კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევა.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დარღვევებისთვის, რამაც გამოიწვია მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასის დაწესება, აგრეთვე კონკურენციის შეზღუდვა ბაზრის გაყოფით, ბაზარზე გავლენის შენარჩუნებით, ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტის ბაზრიდან გაძევება ან/და ერთიანი საბაზრო ფასის დადგენა (ფიქსირება) ისჯება -

ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 წლამდე.

2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის ან/და ჯგუფურად, ისჯება -

ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 6 წლამდე ვადით.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

ავტორი: შოთა შალელაშვილი

შ. შალელაშვილი.

თარიღი: 12 / აქტობერი / 2019 წელი.